Homo Economicus-ის გენეალოგია: ნეოლიბერალიზმი და სუბიექტურობის წარმოება

ჯეისონ რიდი, სამხრეთ მენის უნივერსიტეტი.

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია მიშელ ფუკოს კრიტიკული ნარკვევი ნეოლიბერალიზმზე, რომელიც გამოქვეყნდა Naissance de la biopolitique: Cours au Collège de France, 1978-1979 კურსის ფარგლებში. ფუკოს ლექციები ორი ღერძის გარშემო ტრიალებს. პირველი, იმ გზის გამოიკვლევა, რომლითაც ნეოლიბერალიზმი შეიძლება დავინახოთ, როგორც სუბიექტურობის განსაკუთრებული სახით წარმოება, როგორც მეთოდი, რომლის მიხედვითაც ინდივიდები „ადამიანური კაპიტალის" სუბიექტებად განიხილებიან. ფუკოს ანალიზი სიღრმისეულად და კრიტიკულად გადასინჯულია უენდი ბრაუნის, დევიდ ჰარვის, კრისტიან ლაველის, მაურიციო ლაზარატოს და ანტონიო ნეგრის ნეოლიბერალიზმზე შექმნილი კრიტიკული ნაშრომების შუქზე. ამ და სხვა დებატებითა და განხილვებით მტკიცდება, რომ მარქსთან და ნეგრისთან „ნამდვილი შთანთქმა" (real subsumption)[1] ყველაზე მნიშვნელოვანია ნეოლიბერალიზმის სპეციფიკური პოლიტიკის გასაგებად. და ბოლოს, დასაბუთებულია, რომ ნეოლიბერალიზმი იწვევს კრიტიკული აზროვნების საშუალებების ფუნდამენტურ გადასინჯვას, იმის შემოწმებას თუ როგორ შეუძლია თავისუფლებას შექმნას დაქვემდებარების ფორმა.

ძირითადი ტერმინები: ფუკო, ნეოლიბერალიზმი, გოვერნმენტალობა, ნამდვილი დომინირება, სუბიექტურობა.

დევიდ ჰარვის „ნეოლიბერალიზმის მოკლე ისტორიის" შესავალ ნაწილში შემდეგ განაცხადს ვხვდებით: „ნეოლიბერალიზმს... ყველგან შეღწევადი გავლენა აქვს აზროვნების წესზე, მის არსზე, სადაც ის ინკორპორირდა საღ აზრად, წესად რომლის მეშვეობითაც სამყაროს ვიგებთ, ვხსნით და მასშივე ვცხოვრობთ." [2] მაშინ, როცა ჰარვის წიგნი ნეოლიბერალიზმის მნიშვნელოვან კვლევას წარმოადგენს და გვიჩვენებს მის წარმოშობას ისეთ აკადემიურ ინსტიტუტებში, როგორიცაა „ჩიკაგოს სკოლა," მის გავრცელებას ჩილეს საწყის ექსპერიმენტზე და რეიგან-ტეტჩერის რეჟიმების მეშვეობით, მის სამშობლოში დაბრუნებას, ასევე მის გავლენას ჩინეთსა და დანარჩენ მსოფლიოზე; თუმცა პროცესი, რომლის მეშვეობითაც ის ჰეგემონიური

[1] იხ. მარქსის ტექსტი „წარმოების უშუალო პროცესი"(რედ. შენიშვნა)
[2] David Harvey, A Brief History of Neoliberalism (Oxford: Oxford University Press, 2007), 3.

გახდა და საღ აზრად იქცა, არ არის გამოკვლეული. შეიძლება არასწორიცაა ისტორიულ ნაშრომში, ფილოსოფია ვეძებოთ; ეს „მოკლე“ ისტორია მიზნად ისახავდა ნათელი მოეფინა მიმდინარე კონიუნქტურისთვის; ეს ხარვეზი აღნიშვნის ღირსია, რამდენადაც ის ეხება ნეოლიბერალიზმის შესახებ ჩვეულებრივად მიღებულ იდეას, რომ ის უფრო მეტად არის ტრანსფორმაცია იდელოგიაში, ვიდრე ზოგადად იდეოლოგიის ტრანსფორმაცია. ნეოლიბერალიზმი მის მაკრიტიკებელ, დაპირისპირებულ ტექსტებში ზოგადად გაგებულია არა როგორც რაიმე ახალი იდეოლოგია, არამედ როგორც იდეოლოგიის ტრანსფორმაცია მიზეზების და პირობების ტერმინებში. პირობების ტერმინებში იდეოლოგია კი არ წარმოიშობა სახელმწიფოს ანდა გაბატონებული კლასისაგან, არამედ ბაზარზე საქონლის ყიდვა-გაყიდვის ყოველდიური გამოცდილებიდან, ბაზრიდან, რომელიც შემდეგ სხვა სოციალურ სივრცეებშიც გაფართოვდება, „იდეათა ბაზრიდან“, რათა საზოგადოების ხატად იქცეს. მეორეც, სწორედ პოლიტიკური იდეოლოგიაა ის, რაც არა მხოლოდ პოლიტიკურ ბატონობას, ანდა სახელმწიფო იდეალს, არამედ მთელ ადამიანურ ეგზისტენციას ეხება. მას აქვს პრეტენზია, წარმოადგინოს არა იდეალური, არამედ რეალური, ადამიანური ბუნება. როგორც ფრედერიკ ჯეიმსონი, მის მიერ წამოყენებული კავშირების და გამოწვევების შეჯამებაში წერს: „წამოყენებული თეზისი, რომ „ბაზარი ადამიანის ბუნებაა“ შეუძლებელია შეუცვლელად დავტოვოთ. ჩემი აზრით, ეს ჩვენი დროის იდეოლოგიათა შორის გადამწყვეტი ბრძოლის ველია.“[3]

ნეოლიბერალიზმის კრიტიკულმა გამოკვლევამ დისკურსის დისლოკაციის ამგვარი ტრანსფორმაციას უნდა მიმართოს, უფრო როგორც ადამიანის ბუნებისა და სოციალური არსებობის ახლებურ გაგებას, ვიდრე პოლიტიკურ პროგრამას. ამიტომაც საკმარისი არ არის ნეოლიბერალიზმს, როგორც პოლიტიკურ პროგრამას ისე დავუპირისპირდეთ, მისი გაანალიზებით წარმატება-მარცხის ტერმინებში. ნეოლიბერალიზმის გამოკვლევას თან სდევს იდეოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების, ძალაუფლების ცნებების, არსებობის წესების და სუბიექტურობის ურთიერთგადაკვეთის ხელახალი გადასინჯვა. სწორედ წინ აღმდგარ ნეოლიბერალიზმში, უკანასკნელი ოცდაათი წლის ერთი შეხედვით განყენებული დებატები, რომლებიც მიმდინარეობდა პოსტსტრუქტურალისტებს, (მიშელ ფუკოს სახით) და ნეო-მარქსისტებს (ანტონიო ნეგრის სახით) შორის, ძალაუფლების ბუნებასა და „იდეოლოგიას,“ ან „დისკურსსა“ და მატერიალურ არსებობას შორის კავშირზე, წყვეტს განყენებულ დოქტრინებად არსებობას და ხდება კონკრეტული გზა აწმყოს გაგებისა და გარდაქმნისათვის. ფუკოს ლექციები ნეოლიბერალიზმზე, არამარტო განავრცობენ თავის კრიტიკულ პროექტს ახალ სივრცეებზე, ისინი ემსახურებიან აწმყოს ჩაჭერის მნიშვნელობის დემონსტრირებას, იმ გზის გამოკვლევით, რომლითაც ჭეშმარიტება და სუბიექტურობა იწარმოებიან.

[3] Fredric Jameson, Postmodernism; Or, the Cultural Logic of Late Capitalism (Durham, NC: Duke University Press, 1991), 263.

Homo Economicus--- ნეოლიბერალიზმის სუბიექტი

მიშელ ფუკოს კვლევაში ცენტრალური ნიშა უკავია ისეთ სპეციფიკური მახასიათებლების ურთიერთბმას, როგორიცაა ადამიანური ბუნების კონცეფციის წარმოება, სუბიექტურობის ფორმირება, პოლიტიკური იდეოლოგია და აზროვნების წესი პოლიტიკის შესახებ. ფუკოს მიერ დახასიათებული თავისი პროექტი, როგორც „ჩვენს კულტურაში, ადამიანის სუბიექტად შემქმნელი სხვადასხვაგვარი მოდუსების" შესწავლა, როგორც პროცესი, ყოველთვის ურთიერკვეთაში იყო ძალაუფლება/ცოდნის რეჟიმთან[4]. როგორც ჩანს, ფუკოს ნაშრომი ზუსტად იმას განიხილავს, რაც ნეოლიბერალიზმის მკვლევარებს აღიზიანებთ: სტილს, რომლითაც ნეოლიბერალიზმი მმართველი სახელმწიფოს ან ეკონომიკის წესი კი არ არის, არამედ პირადად ინდივიდების მართვასთან, ცხოვრების თავისებურ წესთანაა მიბმული. თუმცა ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ფუკოს კვლევა ამ კავშირებს ხედავს თავდაპირველად ძველი საბერძნეთიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდე, რის შემდეგადაც ნეოლიბერალიზმის თანამედროვე განვითარებას უმისამართოდ ტოვებს. რამდენადაც ეს ფუკოს ნაშრმოებისთვისაა სახასიათო, მან გვიან 70-იანებში, Collège de France-ში ნეოლიბერალიზმის თემაზე ლექციების კითხვას, ერთი წელი მიუძღვნა. ეს ლექციები, რომლებიც *ბიოპოლიტიკის დაბადების* სახელით გამოქვეყნდა ნაწილობრივ ანომალურია ერთი იმის გამო, რომ მეოცე საუკუნის გვიან წლებზე ინაცვლებს და მეორე იმის გამო, რომ სხვა სალექციო კურსებისაგან განსხვავებით (სულ ცოტა ის სალექციო კურსები მაინც, რომლებიც ამას წინათ გამოქვეყნდა, როგორც „დევიანტები," „ფსიქიატრიის ძალაუფლება" და „სუბიექტის ჰერმენევტიკა), ეს მასალები არასოდეს შესულა ფუკოს გამოქვეყნებულ შრომებში.

ფუკოს ანალიზს რომ რაღაც სტრუქტურული ფორმა მივცეთ, სასარგებლო იქნება დავიწყოთ იმით, თუ თვითონ როგორ ხედავს განსხვავებას ლიბერალიზმსა და ნეოლიბერალიზმს შორის. ფუკოსთვის, ეს განსხვავება უნდა გაკეთდეს სხვადასხვა გზით, რომლებშიც თითოეული ეკონომიკურ აქტივობაზე იქნება ფოკუსირებული. კლასიკური ლიბერალიზმი აქცენტს *გაცვლაზე (exchange)* აკეთებდა, რასაც ადამ სმიტმა კაცობრიობის „საქონლის გაცვლა-გამოცვლის, სავაჭრო გარიგების და გადაცვლის" ტენდენცია უწოდა. ეს ახდენდა ბაზრის, როგორც სისტემის ნატურალიზებას თავის რაციონალობასთან, ინტერესებთან და მისთვის დამახასიათებელ ეფექტურობასთან ერთად. საბოლოოდ კი, როგორც საქონლისა და მომსახურების გამანაწილებელი, თავის აღმატებულ უპირატესობას ამტკიცებდა. ბაზარი გახდა ავტონომიური სივრცე, რომელიც ამ მდგომარეობიდან, კერძო საკუთრების უპირობო უფლების მეშვეობით უნდა გამოკვეთილიყო. თავის ახლებურ გაგებაში ფუკომ ხაზი გაუსვა, რომ ბაზარი

[4] Michel Foucault, "The Subject and Power," Afterward to Michel Foucault: Beyond Structuralism and Hermeneutics, ed. Hubert L. Dreyfus and Paul Rabinow (Chicago, IL: University of Chicago Press, 1982), 208.

მეტია, ვიდრე უბრალოდ სპეციფიკური ინსტიტუცია ან პრაქტიკა, თავისი არსით, ის რეინტერპრეტაციის ბაზისი გახდა და შესაბამისად, სახელმწიფო ძალაუფლების კრიტიკად იქცა. კლასიკური ლიბერალიზმი გაცვლას საზოგადოების ზოგად მატრიცად აქცევს. ის ადგენს ჰომოლოგიას: არსებული ურთიერთობები ბაზრის მსგავსად უნდა გავიგოთ, როგორც განსაზღვრული თავისუფლების გადაცვლა უფლებებსა და პრივილეგიებზე[5]. ფუკოს მიხედვით, ნეოლიბერალიზმი ეკონომიკური აქტივობის სოციალ-პოლიტიკური აქტივობის ზოგად მატრიცად გადაქცევის პროცესს უფრო ფართოდ შლის და აქცენტს არა *გაცვლაზე*, არამედ *კონკურენციაზე (competition)* აკეთებს[6]. ის, რაც ფუკოს მიხედვით, „კლასიკურ“ და „ნეო-„ ლიბერალიზმს აერთიანებთ, არის Homo Economicus-ის ზოგადი იდეა, რა გზითაც ისინი ადამიანის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, კერძო „ანთროპოლოგიას“ პოლიტიკის ბაზისში ათავსებენ. რაც იცვლება, გაცვლის ანთროპოლოგიიდან კონკურენციის ანთროპოლოგიაზე ხაზგასმაა. გაცვლიდან კონკურენციაზე გადასვლას სერიოზული შედეგები მოყვება: თუ გაცვლა ბუნებრივად იყო მიჩნეული, მეოცე საუკუნის ნეო-ლიბერალებს კონკურენცია ესმით, როგორც ისეთი ხელოვნური ურთიერთობა, რაც დაცული უნდა იქნეს ბაზრის ტენდეციის, მონოპოლიების დამყარების და სახელმწიფო ჩარევებისაგან. კონკურენცია არა უშუალოდ ბაზარზე, არამედ საბაზრო პირობებში სახელმწიფოს მხრიდან გამუდმებულ ჩარევებს ხდის საჭიროს[7].

რაც ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, არის გზა, რომლითაც ეს ცვლილება ხდება „ანთროპოლოგიაში“ Homo Economicus-ის, როგორც გადამცვლელი ქმნილებიდან კონკურენტუნარიან ქმნილებად გადაქცევით; ანდა არსებად, რომლის კონკურენციისადმი მისწრაფებას ხელი უნდა შეეწყოს, რასაც იმ საშუალებების საერთო ცვლილება მოყვება, რომლითაც ადამიანები ქმნიდნენ საკუთარ თავს და სუბიექტები იქმნებოდნენ. ნეოლიბერალიზმი, ეკონომიკის ველისა და ფარგლების ფართომასშტაბიან ექსპანსიას მალევე იწვევს. ამ თემასთან დაკავშირებით, ფუკო გარი ბეკერს ციტერებს: „ეკონომიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევას, როგორც ბოლოს შემორჩენილ და დეფიციტურ საშუალებებს შორის არსებულ ურთერთობას, რომელთაც მონაცვლეობითი გამოყენება აქვთ“[8]. ყველაფერი, რისთვისაც ადამიანები ცდილობენ მიზნების რეალიზებას, დაწყებული ქორწინებიდან დამთავრებული დანაშაულის ჩადენამდე და ბავშვებისათვის

[5]ფუკო ამ თემაზე წერს, რომ: „ვფიქრობ, გაცვლისა და ველურობის კომბინაცია მხოლოდ XVIII საუკუნის უფლებათა თეორიების კი არა, ზოგადად იურიდიული აზროვნების საფუძველია. ჩვენ გამუდმებით ვპოულობთ ველურობა-გაცვლის წყვილს XVIII საუკუნის უფლებათა თეორიებიდან XIX-XX საუკუნის ანთროპოლოგიამდე. ისევე როგორც XVIII საუკუნის იურიდიული აზროვნებაში და ასევე XIX-XX საუკუნეების ანთროპოლოგიაშია მოცემული, ველური, არსობრივად არის ადამიანი, რომელიც რაიმეს ცვლის.“ (Michel Foucault, Society Must Be Defended: Lectures at the Collège de France, 1975-1976, trans. David Macey (New York: Picador, 2003), 194)

[6] Michel Foucault, The Birth of Biopolitics: Lectures at the Collège de France, 1978-1979, trans. Graham Burchell (New York: Palgrave Macmillan, 2008), 12.

[7]Ibid, 139.

[8]Ibid, 235.

გაწეულ ხარჯებამდე, სარგებელის ფასის გულდასმით გამოანგარიშების შესაბამისად, შეიძლება „ეკონომიკურად“ გავიგოთ. შემდგომად კი ამას „შრომის“ და „მუშის“ სრული, ხელახალი გადააზრება მოსდევს. მუშა ადამიანური კაპიტალი ხდება. ხელფასი, ანაზღაურება კი ხდება მის „სქილებში“ ან უნარებში ჩადებული პირველადი ინვესტირებისას გამომუშავებული შემოსავალი. ნებისმიერი დამაკმაყოფილებელი მოქმედება, რომელიც შემოსავლის გამომუშავების პოტენციურ უნარს ზრდის, მიგრაცია, ქვეყნის საზღვრების გადაკვეთაც კი, ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციაა. რა თქმა უნდა, „ადამიანური კაპიტალის“ დიდი ნაწილი, სხეული, ტვინი, გენეტიკური მასალა აშკარად ისეთი მოცემულობაა, რაც გაუმჯობესებას არ ექვემდებარება, კლასსა და რასაზე რომ არაფერი ვთქვათ. ფუკო ამტკიცებს, რომ ეს ბუნებრივი ლიმიტები ისეთი რამეა, რისი გადალახვაც ტექნოლოგიებით მიიღწევა; ეს ტექნოლოგიები, დაწყებული პლასტიკური ქირურგიიდან შესაძლო გენეტიკურ ინჟინერიამდე, საწყისი ინვესტიციის ტრანსფორმაციას შესაძლებელს ხდიან. როგორც ფუკო ამ თვალსაზრისის შეჯამებად წერს: „Homo Economicus-ი არის მწარმოებელი, საკუთარი თავის მწარმოებელი არსება.“[9]

ამ ანალიზით, ფუკოს მიზანი არ არის კაპიტალისტური იდეოლოგიის გამარჯვება გამოიტიროს, რადგან „გაბატონებული იდეა“ მართლაც „გაბატონებული კლასის“ იდეა გახდა, იმდენად რომ, მინიმალურ ხელფასზე მომუშავედან აღმასრულებელ დირექტორამდე თავს ყველა მწარმოებლად მიიჩნევს. მას არც ის ამოცანა აქვს, ნეოლიბერალურ ეკონომიკაში ეკონომიკური რაციონალობის ფარგლების ზრდა გააკრიტიკოს: მტკიცება, რომ ეკონომიკა ყველა საზოგადოებასთან, ყოველგვარ რაციონალობსთან ერთად არსებობს, რომ ყველა გზა ეკონომიკაში „ჩაედინება.“ ფუკოს ნეოლიბერალური იდეალი „ჭეშმარიტების“ ახალ რეჟიმად უფრო ესახება, იმ საშუალებად, რომლითაც ადამიანები სუბიექტები ხდებიან: განსხვავებული მოტივებითა და პრინციპებით მართული Homo Economicus-ი, სახელმწიფოს ლეგალური სუბიექტის, Homo Juridicus-ისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული სუბიექტია. ნეოლიბერალიზმი „გოვერნმენტალობის“ ახალ მოდუსს, სტილს ანდა მენტალობას ქმნის, რომელშიაც ადამიანები ერთმანეთს მართავენ და თავადაც იმართებიან. ტერმინები, რომლითაც ამგვარი გოვერნმენტალობა ოპერირებს, *უფლებები და კანონები* კი აღარ არის, არამედ *ინვესტიცია და კონკურენცია.* იმის მხედველობაში მიღებით, რომ უფლებების გადაცვლის მიზნით არსებობს და ზოგიერთი აზრი ჩამოყალიბდა სოციალური კონტრაქტის თავდაპირველი გაცვლის მეშვეობით, ინტერესი შეუცვლელი და დაუყვანადი რამ მოჩანს, რაც არ შეიძლება რომ გადაიცვალოს. როგორც გოვერნმენტალობის ფორმა, ნეოლიბერალიზმი თითქოს პარადოქსულად, ხელმძღვანელობის გარეშე მართავს; ანუ, იმისათვის რომ მისმა სუბიექტებმა იფუნქციონერონ, მათ მოქმედების დიდი თავისუფლება უნდა ჰქონდეთ - კონკურენციის სტრატეგიების ასარჩევად.

[9] Ibid., 226.

„ახალ გოვერნმენტალურ გონს თავისუფლება სჭირდება. ამდენად, მართვის ახალი ხელოვნება თავისუფლებას მოიხმარს. მან უნდა აწარმოოს ის, მან ორგანიზება უნდა გაუწიოს მას. აქედან გამომდინარე, მართვის ეს ახალი ხელოვნება თავს იჩენს როგორც თავისუფლების მენეჯმენტი, თუმცა არა „იყავი თავისუფალის“ იმპერატივის გაგებით, იმ უშუალო წინააღმდეგობებით, რასაც შეიძლება ეს იმპერატივი მოიცავდეს... ამგვარი ლიბერალიზმი შეიძლება აღვწეროთ, როგორც XVIII საუკუნეში შექმნილი მართვის ახალი ხელოვნება, რასაც მის წიაღში თავისუფლებასთან პროდუქცია/დესტრუქციის ურთიერთობა მოსდევს. ლიბერალიზმმა თავისუფლება უნდა აწარმოოს, თუმცა სწორედ იმავე მოქმედებით ლიმიტებს, კონტროლს, იძულების გამოყენების ფორმებს, საფრთხეებზე მდგომ ვალდებულებებს აფუძნებს.“[10]

ეს თავისუფლება, რაც ბაზრის თავისუფლებას გულისხმობს, პოლიტიკის, გოვერნმენტალობის მიღმა როდი დგას, როგორც მისი ზღვარი, არამედ ის მისი სტრატეგიის ინტეგრალური ნაწილია. ნეოლიბერალიზმი, როგორც გოვერნმენტალობის მოდუსი, ინტერესებით, სურვილებით და მისწრაფებებით ოპერირებს და არა უფლებებისა და ვალდებულებების მეშვეობით; როგორც სუვერენული ძალაუფლება ის პირდაპირ სხეულს არ ასვამს დაღს და არც დისციპლინური ძალაფლების მსგავსად ქმედებებს აღკვეთს; ის უფრო ქმედების პირობებზე ზემოქმედებს. ამით, ნეოლიბერალურ გოვერნმენტალობას ინტენსიფიკაციის გენერალური ტრაექტორია მოსდევს, მას კი თავის მხრივ, ფუნდამენტური პარადოქსი: რამდენადაც ძალაუფლება ნაკლებად შემზღუდველი და არამატერიალურია, ის მით უფრო ინტენსიური, რეალურ თუ შესაძლო მოქმედებათა ველის გამაჯერებელი ხდება.[11]

ნეოლიბერალიზმის განხილვისას, ფუკო თავისი მთავარი თეორიული ტექსტებითა და პარადიგმებით იზღუდება და მიყვება მის ომის შემდგომ გერმანიაში ფორმულირებულ და მის ყველაზე ამომწურავ, ჩიკაგოს სკოლის ვერსიას. მაშინ როცა ფუკოს ადრეული ანალიზები ხშირად პრაქტიკული დოკუმენტების ანალიზიდან, პანოპტიკონის ან აღიარებითი პრაქტიკების აღწერებიდან გვახსოვს, მისი ეს ლექციები ნეოლიბერალიზმზე ძირითადად მნიშვნელოვანი თეორიული დისკუსიებიდან გამომდინარეობს. რაღაცა ზრით, ეს სალექციო კურისის ფორმატის ან სულ მცირე, რეფლექსიების შეზღუდულობაზე მეტყველებს, რაკიღა ის დეტალურ შესწავლაში აღარ გადაზრდილა. ნებისმიერი ანალიზი, რომელიც არსის

[10]Ibid., 63.

[11]ფუკოსეული ინტენსიფიკაციური ლოგიკა განავითარა ჯეფრი ნილენმა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამის დანახვა დისციპლინური ძალაუფლებიდან ბიოძალაუფლებაზე გადასვლისას ჩანს; თუ პირველი მათგანი სპეციფიკური ადგილებითა და იდენტობებით ოპერირებს, მეორე მათგანი ამისათვის სექსუალობას ირჩევს, რომელიც მთელ საზოგადოებაში გაბნეული და სუბიექტურობასთან თანაარსებობს.(Jeffrey T. Nealon, Foucault Beyond Foucault: Power and its Intensification Since 1984 (Stanford, CA: Stanford University Press), 2008, 46). მსგავსი აზრი შეიძლება აღმოცენდეს, თუ მხედველობაში ნეოლიბერალიზმს მივიღებთ.

ერთგულია და არა უბრალოდ ფუკოს ტექსტების გზავნილისა, ფოკუსირდება პრაქტიკაზე და არა მხოლოდ საზოგადოებაში, ეკონომიკასა და სახელმწიფოში გავრცელებულ თეორიებზე. თომას ლემკის მტკიცებით, ნეოლიბერალიზმი არის პოლიტიკური პროექტი, რომელიც ცდილობს შექმნას ისეთი სოციალური სინამდვილე, რომელსაც უკვე არსებულად მიიჩნევს და კონკურენციას სოციალური ურთიერთობების ბაზისად აცხადებს და ამავე ურთიერთობებსვე კვებავს. [12] გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებებიდან მოკლევადიან და არასრულ განაკვეთიანზე გადასვლის ტენდენცია არის არა მხოლოდ ეფექტური ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც კორპორაციებს ხელშეკრულების, ჯანდაცვის და სხვა მომსახურების ვალდებულებებისაგან ათავისუფლებს, არამედ დაქვემდებარების ეფექტური სტრატეგიაცაა. ის ყველანაირად ხელს უწყობს იმას, რომ მშრომელებმა საკუთარ თავი „მუშებად“ კი არ აღიქვან, ამ სიტყვის პოლიტიკური გაგებით, არამედ „თანამშრომლებად.“ ისინი იქცნენ ინდივიდებად, ვისთვისაც ყოველი მოქმედება დაწყებული ახალი კომპიუტერული კურსებზე განაცხადიდან კბილების გათეთრებამდე ადამიანურ კაპიტალში დაბანდებად მიიჩნევა. როგორც ალიეს და მიშელ ფეერი წერენ „კორპორაციების ხეშეკრულებების გაფორმებისადმი მასიურად მიმართვა ფუნდამენტურ როლს ასრულებს იმ გაქანებით, რომ მუშის დამოუკიდებლობის სურვილს... „ბიზნეს-სულისკვეთებაზე“ გადართავს, რაც კაპიტალის ზრდის მოთხოვნას პასუხობს“. [13] ნეოლიბერალიზმი არის არა მხოლოდ იდეოლოგია, ამ ტერმინის დამამცირებელი გაგებით, ანდა იმისი რწმენა, რომ რაიმეს ქონის ან არ ქონის არჩევის შესაძლება უნდა იყოს, არამედ ის წარმოებულია სტრატეგიების, ტაქტიკების, პოლიტიკის მიერ და კონკურენციის ჩარჩოებში მოქცეულ ინტერესების საგანს ქმნის.

რადგანაც ფუკო ბრჭყალებში სვამს იმას, რაც ნეოლიბერალიზმის „იდეოლოგიურ“ განზომილებად შეიძლებოდა მიგვეჩნია, კაპიტალიზმის გლობალურ ჰეგემონიასთან და კაპიტალის დაგროვების სპეციფიკურ ახალ რეჟიმთან კავშირს, მისი ლექციები ცოტას გვეუბნებიან ისტორიული პირობების შესახებ. ფუკო ნეოლიბერალიზმის თავდაპირველ ფორმულირებას ნაცისტურ გერმანიაზე რეაქციის კერძო შემთხვევას აბამს. ფუკოს მტკიცებით, თავდაპირველი ნეოლიბერალები, იგივე „ორდო-ლიბერალები“ მიიჩნევდნენ, რომ ნაცისტური გერმანია კაპიტალიზმის შედეგი არ ყოფილა, ხოლო კაპიტალიზმთან და ბაზართან დაპირისპირების, ყველაზე უკიდურესი ფორმა დაგეგმარება იყო. ანალიზისას, ფუკო ჩაიჭერს განსაკუთრებულ „შიშს სახელმწიფოს მიმართ,“ რაც ხაზად გასდევს ნეოლიბერალიზმის რწმენას, რომ კონკურენციის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დაგეგმვა და ინტერვენცია ტოტალიტარიზმის რიგის პროცესია. თუმცა ის სათვალავში არ იღებს ნეოლიბერალიზმის ბატონობას აწმყოში, განსაკუთრებით კი „თვითობის ტექნოლოგიის“ ბატონობას, დაქვემდებარების განსაკუთრებულ მოდუსს. ამავე დროს ფუკო ნეოლიბერალიზმის ისტორიის

[12]Thomas Lemke, “Foucault, Governmentality, and Critique.” Rethinking Marxis, 14, 3 (2002), 60

[13] Eric Alliez and Michel Feher, The Luster of Capital, trans. Alyson Waters, Zone, 1, 2, (1987),349.

ახლებურ გაგებას გვთავაზობს, როცა ამტკიცებს, რომ ნეოლიბერალიზმი ან ნეოლიბერალური სუბიექტი, როგორც Homo Economicus ანდა Homo Entrepreneur წარმოიშვა რათა ლიბერალურ ეკონომიკურ აზროვნებაში განსაკუთრებულ ადგილს, შრომას მიემართოს. ამ გაგებით ნეოლიბერალიზმი ესწრაფვის იგივე სიცარიელე, იგივე ნაპრალი ამოავსოს, რის ამოვსებასაც მარქსი ცდილობდა, თუმცაღა ისე, რომ არც მარქსს ახსენებს და თანაც სრულიად განსხვავებული შედეგებით[14]. რაშიც მარქსი და ნეოლიბერალები თანხმდებიან ისაა, რომ კლასიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ გაცვლის სფეროს გამოკვლევის მიუხედავად, „წარმოების ფარული სამყოფელში" შეღწევა ვერ მოახერხა, კაპიტალის წარმოების საიდუმლოსთვის მისაკვლევად. რა თქმა უნდა, მათი თანხმობა აქ სრულდება, რადგან მარქსი და ნეოლიბერალები შრომაში ფუნდამენტურად განსხვავებულ რამეს პოულობენ: მარქსისთვის შრომა ჩაგვრის სფეროა, მაშინ როცა ნეოლიბერალები, როგორც ვნახეთ, შრომაში პრობლემას ვერ ხედავენ, რადგან კაპიტალსა და შრომას შორის არსებულ განსხვავებას „ადამიანური კაპიტალის" თეორია შლის[15]. ნეოლიბერალიზმი ერთმანეთს ახლის და ურევს „მუშას" და „კაპიტალისტს" შორის მოქცეულ ოპოზიციურ ტერმინებს. ეტიენ ბალიბარის ციტირება რომ მოვახდინოთ: „კაპიტალიზმი განისაზღვრება როგორც მუშა, მეწარმე, რომელიც თავის თავში რაღაც პოტენციალს, ადამიანურ კაპიტალს ატარებს.[16]" შრომა მეტად აღარ იზღუდება ქარხნებითა და სამუშაო ადგილებით, ნებისმიერი მოქმედება შრომად ითვლება, თუ კი ის სასურველი დაბოლოების მიმართულებით სრულდება. „შრომა" და „ადამიანური კაპიტალი" ერთმანეთს გადაკვეთს და ტერმინოლოგიის დონეზე, მათ შორის არსებულ მყარ წინააღმდეგობას გადალახავს. შრომა (როგორც ყოფილი და მოძველებული ტერმინი) იქცევა აქტივობად, ხოლო „ადამიანური კაპიტალი" ამ აქტივობის, მისი ისტორიის შედეგად. ამ

---

[14]Michel Foucault, The Birth of Biopolitics, 221.

[15] *ბიოპოლიტიკის დაბადებაში* ფუკო ასაბუთებს, რომ მარქსმა ეს სიცარიელე „შრომის" ანთროპოლოგიით შეავსო. ეს „ჭეშმარიტებასა და იურიდიულ ფორმებში" განვითარებული კრიტიკის მსგავსია, სადაც ის ამტკიცებს რომ მარქსი შრომას ისე აფუძნებს, როგორც „ადამიანის კონკრეტულ არსს." როგორც ფუკო წერს: „მე არ ვფიქრობ, რომ ტრადიციული მარქსისტული ანალიზი უნდა მივიღოთ, რომელიც ასკვნის, რომ შრომა ადამიანის კონკრეტული არსია, რომ კაპიტალისტური სისტემა შრომას მოგებად, დოვლათად და ზედმეტ ღირებულებად გარდაქმნის. ფაქტია, რომ კაპიტალიზმი ჩვენს არსებობას ბევრად უფრო სიღრმისეულად განჭოლავს. ეს სისტემა, როგორადაც მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა, მოვალეც იყო შეექმნა პოლიტიკური ტექნიკების, ძალაუფლების ტექნიკების მთელი წყება, რითაც ადამიანი შრომის მსგავს რაღაცას მიება - ტექნიკების წყებას, რითაც ადამიანების სხეულები და დრო გახდებოდა სამუშაო ძალა და სამუშაო დრო, ისე რომ ეფექტურად ყოფილიყო გამოყენებული და ამდენად, ჭარბ მოგებად გარდაიქმნება." (Michel Foucault, "Truth and Juridical Forms," in Power: Essential Works of Michel Foucault, 1954-1984: Volume Three, trans.
Robert Hurley et al. Ed. James D. Faubion (New York: New Press, 2000), 86). „კაპილარული ძალაუფლებრივი ურთიერთობების" იდეა, რაც ადამიანს შრომის სუბიექტდ აქცევს არის იდეა, რომელსაც ფუკო ზოგჯერ კრიტიკამდე ავითარებს, სხვა დროს კი მარქსს მიაწერს, მაგალითისთვის იხილეთ „ზედამხედველობა და დასჯა."

[16]Etienne Balibar, Masses, Classes, Ideas: Studies on Politics and Philosophy Before and After Marx, trans. James Swenson (New York: Routledge, 1994), 53.

ურთიერთგადაკვეთიდან გამომდინარე, ეკონომიკური დისკურსი იქცევა მთელი ცხოვრების გზად, საღ აზრად, რომელშიც ყოველი მოქმედება: დანაშაული, ქორწინება, უმაღლესი განათლების მიღება და ა.შ. გამოისახება როგორც მაქსიმალური მოგების გამოთვლა მინიმალური დანახარჯებით; მას, როგორც ინვესტიციას, ისე შეიძლება ვუყუროთ. ამით, მარქსი და ნეოლბერალიზმი მსგავსი პრობლემის გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდიან, რომ ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას ჩავწვდეთ, რომელიც „მეწარმის," „ინვესტირების" და „რისკის" იდეის ფინანსური კაპიტალის გარეთ, ყველა დასახელებულ ურთიერთობებზე განზოგადების მეშვეობით, ჩაგვრის იდეას აუქმებს და შლის. ნეოლიბერალიზმი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც განსაკუთრებული ვერსია „კაპიტალიზმისა, კაპიტალიზმის გარეშე," როგორც კერძო საკუთრების შენარჩუნების და კაპიტალიზმში არსებული დოვლათის განაწილების გზა, რაც ამავდროულად ბოლოს უღებს ანტაგონიზმსაც და კაპიტალიზმისთვის საფრთხის შემცველ მდგომარეობასაც; ამ შემთხვევაში, პარადოქსულად, მისი გაფართოება ხდება, ყველა საზოგადოებაში არსებული, სულ ცოტა ტერმინების, სიმბოლოების და ლოგიკის დონეზე მაინც. კაპიტალისტსა და მუშას შორის არსებული წინააღმდეგობის წაშლა ხდება არა *წარმოების საშუალებების* გარდაქმნით, დოვლათის წარმოებისა და განაწილების ახლებური ორგანიზებით, არამედ დაქვემდებარების საშუალებით, *სუბიექტურობის ახლებური წარმოებით.* ამით ნეოლიბერალიზმი ყველა საზოგადოებზე ეკონომიკის მხოლოდ მისთვის მახასიათებელ ზრდას იწვევს; ეს ისე როდი ხდება, როგორც მარქსი ამტკიცებდა, რომ ვინაიდან ყველაფერი ეკონომიკურ ბაზისზე დგას (სულ ცოტა საბოლოო ჯამში მაინც) ეკონომიკის გავლენა მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება; ეს უფრო ისეთი საბაზრო ეკონომიკური გადმოსახედია, რომელიც ყველა საზოგადოებასთან თანაარსებული ხდება. როგორც კრისტიან ლაველი ამტკიცებს, ყველა მოქმედება უმცირეს ფასად უდიდესი მოგების, ეგოისტური ფუნდამენტური იდეისადმი შეხმატკბილებად განიხილება. ეს არის არა სტრუქტურა, რომელმაც მთელი საზოგადოება მოიცვა, არამედ ეკონომიკური აზროვნების საგანი, მისი ნაგულისხმები ანთროპოლოგიაა.[17]"

აწმყოსადმი წინააღმდეგობა: ნეოლიბერალიზმი კრიტიციზმის მიმართ

ამგვარად, ნეოლიბერალიზმი მხოლოდ კლასობრივი ძალაუფლების, როგორც ერთადერთი შესაძლო ეკონომიკური სისტემის „რესტავრაცია" კი არა, კაპიტალიზმის, როგორც რაციონალობის სინონიმის აღდგენაც გამოდის. ამდენად, პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, რატომ მაინცდამაინც ახლა, ან სულ ცოტა ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე, რატომ მოხდა რომ კაპიტალიზმმა ნეოლიბერალიზმში იბრუნა პირი? თუ ფუკოს მიერ ნაცისტური აჩრდილის მოხმობა კაპიტალიზმის სპეციფიკური ისტორიული ფორმის ნათელსაყოფად საკმარისი არაა,

[17] Christian Laval, L'homme économique: Essai sur les racines du néolibéralisme (Paris: Gallimard, 2007), 17.

მარქსთან შეწინააღმდეგებაც ცოტას თუ დაგვეხმარება ნეოლიბიერალიზმის ამჟამინდელ ბატონობას ნათელი რომ მოვფინოთ. რაღაცნაირად პარადოქსულია, რომ ამ კითხვას მარქსისა და ნეოლიბერალიზმის ურთირთშეხების წერტილების მოძიებით შეიძლება ნაწილობრივად მაინც გაეცეს პასუხი.

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკაში“ მარქსი ტერმინ „ადამიანურ კაპიტალს“ არ ხმარობს, მაგრამ მანქანა-დანადგრების, ქარხნების და წარმოების საშუალებებში ჩადებულ სხვა ინვესტიციების, გასაგნების, მუშის შრომის გასაგნებული ძალის მოსახსენიებლად, ზოგადი ტერმინს „ფიქსირებულ კაპიტალს“ (fixed capital) იყენებს. საერთოდ, მარქსს კაპიტალის პროგრესი ისეთ პროცესად ესმის, რომლითაც მშრომელების უნარ-ჩვევები, ცოდნა და ნოუ-ჰაუ თანდათანობით მანქანებად, ფიქსირებულ კაპიტალად განსხეულდებიან, რაც მუშის უუნარო, მექანიზმის სრულიად ჩანაცვლებად ჭანჭიკად დაყვანას ახდენს. ეს „პროლეტარიზაციის“ პროცესია, რომლითაც კაპიტალიზმი გაღატაკებულ მუშათა კლასის სახით საკუთარ მესაფლავეებს უშვებს, მათ, ვისაც დასაკარგი აღარაფერი აქვთ, ბორკილების გარდა. მიუხედავად ამისა, ამ წიგნში მარქსს ფუნდამენტურად განსხვავებული შესაძლებლობა მოყავს - კაპიტალი არა მხოლოდ სხეულის ფიზიკურ ძალის ექსპლუატაციას ახდენს, არამედ ყველა ინდივიდში განსხეულებულ, მთელ საზოგადოებში გავრცელებული სოციალური ცოდნისასაც. სწორედ ესაა ის „საერთო ინტელექტი,“ საზოგადოებაში გაბნეული სოციალური ცოდნა, რაზეც მარქსი ლაპარაკობს. ამგვარი ცოდნა, სხვადასხვა ენა, პროტოკოლებისა და სიმბოლოთა სისტემების გამოყენების უნარი, შრომითი სფეროს გარეთ, ფართოდ იწარმოება. როგორც მარქსი წერს: „სამუშაო დროის დაზოგვა, თავისუფალი დროის ზრდის ეკვივალენტურია, ე.ი. ინდივიდის სრული განვითარებისათვის განკუთვნილი დრო, შრომის სამეწარმეო (productive) ძალაზე თავისთავად, უდიდეს სამეწარმეო ძალაზე უკუზემოქმედებს. პირდაპირი საწარმოო პროცესის აზრით, ეს ფიქსირებული კაპიტალის წარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ, იმ ფიქსირებული კაპიტალად, რომელიც ადამიანია თავად [18] “. თავისი სტანდარტული ტერმინოლოგიური კოდექსიდან, რომელიც მშრომელს სამუშაო ძალად (ან ცოცხალ შრომად), მანქანას ან ქარხანას ფიქსირებულ კაპიტალად, ხოლო ფულს საბრუნავ კაპიტალად სახავს, მარქსი აშკარა გადახვევას ამჟღავნებს. ის მომავლის შესახებ ისეთ რაღაცას გვიმჟღავნებს, რაც მარქსს მხოლოდ ხილვაში თუ ექნებოდა --- იმ მომავალს, რომელიც ჩვენ აწმყოდ გვექცა: კაპიტალის მიერ საზოგადოების ნამდვილ შთანთქმას (real subsumption).[19] ამგვარი შთანთქმა

[18]Karl Marx, Grundrisse: Foundations of the Critique of Political Economy, trans. Martin Nicolaus (New York: Penguin, 1973), 712

[19] მარქსის ეს კონცეფცია განვითარა იტალიელმა ავტონომისტმა მარიო ტრონტიმ, რომელმაც შემოიღო ტერმინი „სოციალური ქარხანა“ რაც გულისხმობს კაპიტალისტური ურთიერთობების ტერიტორიუალური დაბრკოლებებისგან განთავისუფლებას, მის დეტერიტორიალიზაციას შემოზღუდული სივრცეებისგან, სოციალური ქარხანა ქმნის სიტუაციას, რომელშიც ნებისმიერი სოციალური ურთიერთობის განზომილება კაპიტალისტური წარმოებითი მომენტია, საზოგადოება იძენს ქარხნის ფუნქციას მთლიანისაზოგადოება გარდაიქმნება წარმოების არტიკულაციად, კაპიტალის ეს

მხოლოდ იმის ფორმირებას კი არ მოიცავს, რაზედაც მარქსი ლაპარაკობდა სპეციფიკურად კაპიტალისტურ წარმოების წესზე, არამედ მოიცავს კაპიტალის გულისათვის ყველა სუბიექტური პოტენციალის, კომუნიკაციის პოტენციურ უნარის, გრძნობის, შემოქმედების, აზროვნების საწარმოო ძალად განსხეულებასაც. კაპიტალი უბრალოდ შრომის ექსპლუატაციას კი აღარ ახდენს, რომელიც საგანთა გარდაქმნის ფიზიკურ, პოტენციურ უნარად გაიგება, არამედ მას შექმნისა და კომუნიკაციისათვის მოქმედებაში მოჰყავს ეს პოტენციური უნარები, რაც სოციალურ ურთიერთობებს განჭოლავს. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი შთანთქმით, კაპიტალს გარეთა სივრცე (outside) სრულიად აღარ აქვს, აღარც რაიმე ურთიერთობაა ისეთი, საქონლად რომ ვერ გადაიქცევა; ამავე დროს, თვითონ კაპიტალი სხვა არაფერია თუ არა ეს გარეთა სივრცე; წარმოება ქარხნისა და ფირმის გარეთ, სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობებში ხდება. ამ ფუნდამენტური გადაადგილების გამო, სუბიექტურობა უზენაესი ხდება, თავისთავად სუბიექტურობა იქცევა პროდუქტიულად და ეს სწორედ ის სუბიექტურობაა, რომელიც უნდა ავიდეს კონტროლზე.

ანტონიო ნეგრის მიხედვით, პირდაპირი კავშირია „ნამდვილ შთანთქმას“, როგორც კაპიტალისტური წარმოების წესის გარდაქმნას და კაპიტალიზმზე წარმოდგენის ტრანსფორმაციას შორის. ნეოლიბერალური სუბიექტური წარმოების მეშვეობით მუშასა და კაპიტალისტს, ანაზღაურებასა და კაპიტალს შორის არსებული ფუნდამენტური გამყოფი ხაზის წაშლა მარტივი საქმე სულაც არაა. ბოლოს და ბოლოს, ამგვარი წინააღმდეგობა, ეს ანტაგონიზმი ნეოლიბერალიზმამდე საუკუნეებით ადრე არსებობდა. ნეოლიბერალიზმი არის დიკურსი და პრაქტიკა, რომელსაც მთელ სოციუმში განაწილებული შრომითი ძალაუფლების შემცირება განუზრახავს ზუსტად იმ განსაზღვრულ დროს, როცა ნებისმიერი სოციალური არსებობა შრომად ანდა პოტენციურ შრომად იქცევა; ნეოლიბერალიზმი მეწარმეების, კაპიტალისტების საზოგადოების ხატს გვიქმნის. როცა ქარხნის ჩაკეტილი სივრციდან პროდუქცია მთელ სოციალურ სივრცეში გასანაწილებლად გამოდის, სოციალური და კულტურული სფეროების ყოფით გარშემორტყმული, ნეოლიბერალიზმი საზოგადოების ხატს ბაზრად, მთელი ამ პროდუქციის მშთანთქველად წარმოადგენს[20]. ეს აღნიშნავს განსხვავებას, ნეოლიბერალიზმს, როგორც ძალაუფლებრივ ფორმასა და ქარხნის ჩაკეტილ სივრცეში არსებულ დისციპლინურ ძალაუფლებას შორის. თუ *დისციპლინური ძალაუფლება* სხეულების პროდუქციის აპარატებზე მიბმით, დაკავებით მუშაობდა, *ნეოლიბერალიზმი* იზოლაციისა და პრივატიზაციის მეშვეობით, სხეულების გაფანტვით მუშაობს. დერეგულაცია, როგორც ნეოლიბერალიზმის ცენტრალური ტერმინი და პოლიტიკური სტრატეგია, მართვისა და

ოპერაცია აიხსნება კაპიტალის მუდმივად ზრდადი ტენდენციით, კაპიტალი იძულებულია მოძებნოს ახალი სივრცეები თვით–ვალორიზაციისთვის და მეორეს მხრივ კლასობრივი ბრძოლის ინტენსიფიკაციით ქარხანაში, რამაც აიძულა კაპიტალი გაფართობვებულიყო (რედაქტორის შენიშვნა)

[20] Michael Hardt and Antonio Negri, The Labor of Dionysus: A Critique of the State Form (Minneapolis, MN: University of Minnesota, 1994), 226.

რეგულირების არარსებობას სულაც არ ნიშნავს. ეს არის მართვის ფორმა იზოლირებისა და გაფანტვის მეშვეობით.[21] საზოგადოების კოლექტიური ძალაუფლება რაც უფრო და უფრო მეტ დოვლათს აწარმოებს, ნეოლიბერალიზმი ეგოისტი ინდივიდების სურათს გვიქმნის, ნეგრის მიხედვით, ადამიანური კაპიტალის იდეა და ნეოლიბერალიზმი საზოგადოების მწარმოებლური ძალების მცდარი ინტერპრეტაციაა. „ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ეკონომიკის უკიდურესი ლიბერალიზაცია მისსავე საწინააღმდეგოს ამჟღავნებს, სოციალური და საწარმოო გარემო ატომიზებული ინდივიდებისაგან არ შედგება... ნამდვილ გარემოს კოლექტიური ინდივიდები ქმნიან.[22]“ ნეგრის ანალიზით, ნეოლიბერალიზმსა და „ნამდვილ შთანთქმას“ შორის არსებული ურთიერთობა მანიქეისტური ოპოზიციის მახასიათებლებს იძენს. ან ყველანი მუშები, ან ყველანი კაპიტალისტები ვართ: ან თვალსაზრისი, რომ საზოგადოება ყველა სოციალურ სფეროში შრომის განვრცობაა დაწყებული ქარხნიდან, გაგრძელებული სკოლით და დასრულებული სახლით, ადამიანური ყოფის ყველა ასპექტში ხელით შესრულებული სამუშაოდან გონებრივ შრომამდე, ან ის, რომ საზოგადოებას, როგორც კონკურენციასა და ინვესტირების, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის მომცველ ლოგიკას ისე უნდა ვხედავდეთ. ამასობში, ნეგრის წარმოდგენილი თეორია ფუკოს ლექციებზე შორს მიდის იმ ასპექტში, რომ ნეოლიბერალიზმის ისტორიულ ფორმაციას, კაპიტალის სპეციფიკური გარდაქმნის ბნელ მხარეს სწვდება. რაღაცა აზრით, ნეგრი ფუკოს ტენდენციას აგრძელებს და დისციპლინურ ძალაუფლებასა და ბიოძალაუფლებას, საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზებაში არსებულ სპეციფიკურ ცვლილებების წინააღმდეგ წარმოაჩენს; ამის გაკეთებით, ის ნეოლიბერალიზმს მოისვრის ამ ტერმინის განადგურების აზრით. როგორც ჩანს ნეგრისთვის „ნამვილი შთანთქმა“ საზოგადოების ჭეშმარიტება, ხოლო ნეოლიბერალიზმი ამ ჭეშმარიტების მცდარი ინტერპრეტაციაა მხოლოდ. როგორც ტომას ლემკმა დაასაბუთა, ფუკოსეული გოვერნმენტალობის იდეა, სწორედ იმ დაყოფის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა, რაც აქტიურ მატერიალურ სიამდვილეს ერთ მხარეს, ხოლო იდეოლოგიის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას მეორე მხარეს აყენებს. გოვერნმენტალობა მენტალობის კერძო შემთხვევა, მართვის განსაკუთრებული სახის მანერაა, რომელიც ჩვევებში, აღქმებსა და სუბიექტურობაში აქტუალიზდება. გოვრნმენტალობა ცნებებსა და მოქმედებებს იმანენტურობის ერთსა და იმავე სიბრტყეში ათავსებს[23]. უნდა ითქვას, რომ ნეოლიბერალიზმის, როგორც გოვერნმენტალობის კრიტიკა, მის შეცდომებზე ანდა სოციალური ყოფის მისეულ ბრუციან კონცეფციაზე კი არ უნდა აკეთებდეს აქცენტს, არამედ ჭეშმარიტების მისთვის დამახასიათებელ წარმოებაზე. ფუკოს მიხედვით, სერიოზულად უნდა მივიღოთ აზროვნების ისეთი წესი, რომლითაც ინტერესებითა და კონკურენციით მართული ინდივიდის ფუნდამენტური გაგება მხოლოდ იდეოლოგიად არ უნდა განვიხილოთ, რომელიც შეიძლება უკუვაგდოთ ან სიცრუეში ვამხილოთ, არამედ

[21] Antonio Negri, The Politics of Subversion: A Manifesto for the Twenty-First Century, trans. James Newell (Oxford: Polity Press, 1989), 99.
[22] Ibid., 206.
[23] Lemke, 54.

როგორც ჩვენი სტრუქტურირებული ცხოვრებისა და სუბიექტურობის შინაგან ნაწილს ისე უნდა ვუყურებდეთ.

მიუხედავად ნეგრის ტენდენციისა, კვლავ შრომისა და იდეოლოგიის ოპოზიციაში გადავარდეს, მისი მიზანი წამოჭრის კითხვებს, რაც ექოსავით განმეორდება ნეოლიბერალიზმის სხვა კრიტიკოსებთან. ნეოლიბერალიზმში, სუბიექტურობის რეპრეზენტაციებსა და განსხვავებულ სფეროებს შორის გადაჭიმული მანძილი კი ხელიდან გვისხლტება; არა უბრალოდ შრომასა და ბაზარს შორის განსხვავება, როგორც მარქსიზმშია, არამედ კლასიკური ლიბერალიზმის მსგავსად, ის განსხვავებაც იკარგება რომელიც მოქალაქესა და ეკონომიკურ სუბიექტს შორისაა. ყველა ეს განსხვავება, როგორც ერთი კავშირი ისე იშლება; ასეთი ეკონომიკური ეგოიზმი, ან კონკურენცია მოქალაქის, მშრომელის, მოხმარების ეკონომიკური სუბიექტის მრავალგვარ სივრცეებსა და ურთიერთობებს ანაცვლებს. ეს პრობლემა რომ ფუკოს ტერმინებით დავაყენოთ, რაც ნეოლიბერალიზმში უჩინარდება, არის დისკურსის ტაქტიკური მარავალ ვალენტიანობა; ყველაფერი ინტერესის, თავისუფლებისა და რისკის ტერმინების ჩარჩოთი ფორმულირდება [24] . როგორც უენდი ბრაუნი ამტკიცებს, გოვერნმენტალობის ყოველდღიურ შედეგებზე ან პრაქტიკებზე თვალის მიდევნება იმგვარი მეთოდით შეიძლება, რომელშიც ინდივიდუალიზებული/ბაზარზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები კოლექტიურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შუაგულში ჩნდება: უსაფრთხოებით დაინტერესებული ჩაკეტილი თემი, წყლის სისუფთავის გამო ბოთლებში დაფასოებული წყალი, კერძო სკოლები წარუმატებელი საჯარო სკოლების სანაცვლოდ; ამათგან ყველა მათგანი შესაძლებლობას აძლევს ინდივიდს უფრო ამოირჩიოს, ვიდრე პოლიტიკური პრობლემების გადაჭრას მიმართოს[25]. პრივატიზიაცია მხოლოდ საჯარო სექტორზე მიმართული ნეოლიბერალიზმის სტრატეგია კი არ არის, რასაც დევიდ ჰარვი „დაგროვებას გასხვისების საშუალებით“, (accumulation by dispossession) [26] უწოდებს, არამედ გოვერნმენტალობის განსაკუთრებულ ფორმასთან შეთავსებადი ელემენტი, მისი ეთოსია, ყველაფერი პრივატიზაციას ექვემდებარება: ინსტიტუციები, სტრუქტურები და ყველა ის საკითხი და პრობლემა რაც საჯარო სფეროს შეადგენდა[27]. პრივატიზაციას დასასრული არ უჩანს. ბრაუნის მიხედვით, ნეოლიბერალიზმი დე-დემოკრატიზაციას იწვევს, რამდენადაც ისეთი ტერმინები, როგორიცაა საზოგადოებრივი კთილდღეობა, უფლებები და დებატები ყოველგვარ აზრს კარგავს. „საშუალო ნეოლიბერალია მოქალაქე, რომელიც სხვადსხვა სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ

[24] Michel Foucault, The History of Sexuality: Volume 1: An Introduction, trans. Robert Hurley (New York: Vintage, 1978), 101.

[25]Wendy Brown, “American Nightmare: Neoliberalism, Neoconservatism, and Democratization,” Political Theory, 34, 6 (2006), 704.

[26] ჰარვის კონცეფცია, რომელიც აღწერს ნეოლიბერალურ პოლისებს, რომელიც დამახასიათებელია დასავლური საზოგადოებებისთვის და გულისხმობს სიმდიდრის კონცენტრაციას უმცირესობების ხელში საზოგადოებრივი სიმდიდრის და მიწების გასხვისების მეშვეობით.(რედ. შენიშვნა)

[27]David Harvey, 154.

ოპციებში მანევრირებს და არა ის, რომელიც სხვებთან ერთად ამ ოპციების მოწყობისა და შეცვლისათვის იბრძვის. [28] " ამგვარად, იმის დამტკიცება შესაძლებელია, რომ ნეოლიბერალიზმი მეტად მოქნილია, დისციპლინარული ჩაკეტილი სივრცეებისაგან განსხვავებით, ძალაუფლების ღია ფორმაა, რომელიც თავისუფლებითა და განმსაზღვრელი მრავალფეროვნებით (constitutive multiplicity) ოპერირებს და რაღაცა აზრით, სულ უფრო მეტად იკეტება მასში, როგორც გოვერნმენტალობის ფორმა, როგორც პოლიტიკური რაციონალობა, რომელსაც გარე სივრცე (outside) არა აქვს. ის მუშისა და მოქალაქის მეტოქეობრივ ლოგიკასთან, სუბიექტურობის განსხვავებულ გამოხატულებასთან დაძაბულობებს არ აწყდება. ყველა: სახელმწიფოები, კორპორაციები და ინდივიდები ინტერესისა და კონკურენციის ერთი და იმავე ლოგიკით იმართებიან. მიუხედავად იმისა, რომ ფუკოს თეორიული წინსვლა ნაწილობრივია, ნეოლიბერალიზმის გოვერნმენტალობად განხილვას დიდი უპირატესობა აქვს იმ საყრდენი ადგილისთვის ნათელის მოსაფენად, სადაც ნეოლიბერალიზმთან შებრძოლებაა შესაძლებელი. საკმარისი არაა, რომ ნეოლიბერალიზმს, ისე აღვუდგეთ წინ როგორც იდეოლოგიას, სოციალური ყოფის ხელიდან დასხლტომილი სინამდვილის ჩვენებით, ანდა სხვადასხვა პოლიტიკური წარუმატებლობის აღნუსხვით. ნეოლიბერალიზმისადმი მიმართულმა ნებისმიერმა წინააღმდეგობამ უფრო სერიოზულად უნდა შეხედოს მის ეფექტურობას, სტილს, რომლითაც მან შრომითი სუბიექტურობისა და სოციალური ურთერთობების გარდაქმნა მოახერხა. ფუკოს მტკიცებით, ის უფრო ნაკლებად ოპერირებს მოქმედებებით, პირდაპირ შეკვეცავს რა მათ, ვიდრე ამ მოქმედებების გარემოებებითა და შედეგებით, შესაძლებლობის აზრით. სარგებელ-დანახარჯის გამოთვლისა და ინტერესის იდეალის მეფობა დიდად როდი უზღუდავს ვინმეს მოქმედების შესაძლებლობას; ნეოლიბერალი მოაზროვნეები გულგრილობას იჩენენ იმ იდეალების მიმართ ვინმეს რომ მიეწერება, მაგალითად უკანონო ნარკოტიკებით ვაჭრობის, როგორც მეტ-ნაკლებად გონივრული ინვესტირებისა, გარდა იმის შეგრძნების შეზღუდვისა თუ რა არის შესაძლებელი და რა არა. განსაკუთრებით, ფუნდამენტურად ეგოისტი ინდივიდის იდეალი საარსებო პირობების კოლექტიურად გარდაქმნას აფერხებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარი ქმედებები აკრძალული ანდა სუვერენისა და დისციპლინური ძალაუფლებრივი სტრუქტურების დიქტატით არ იზღუდება; უბრალოდ ეს მოქმედებები, რამდენადაც შესაძლებელია არ ჩანს, რადგან ეგოისტი ინდივიდების მიერ შემდგარი საზოგადოების მიერაამიჩქმალული. შეიძლება არც ისაა შემთხვევითი, რომ ნეოლიბერალური რეფორმების ყველაზე ცნობილი გამტარებელი მარგარეტ ტეტჩერი იყენებდა სლოგანს: „სხვა ალტერნატივა არ არსებობს," რაც შესაძლებლობათა სრული არარსებობის საფუძველზე ნეოლიბერალიზმს ლეგიტიმურს ხდიდა. მსგავსად ამისა, როგორც ყოფილი პრემიერ მინისტრის დაგვიანებული პასუხის ნაწილი, შეიძლება სრულიადაც შემთხვევითი არ ყოფილა, რომ საერთაშორისო სავალუტო

[28] Wendy Brown, "Neoliberalism and the End of Liberal Democracy," in Edgework: Critical Essays on Knowledge and Politics (Princeton, NJ: Princeton University, 2005), 43.

ფონდისა და მსოფლიო ბანკის წინააღმდეგ გამართულ სიეტლის ცნობილ საპროტეტო გამოსვლებზე სლოგანი იყო: „სხვა სამყარო შესაძლებელია.“ ძალზედ ხშირად, როცა ამ პროტესტებს განვიხილავთ, სხვა სამყაროს შესაძლებლობის, პოლიტიკის სხვაგვარად მოწყობის, მეხსიერებაში შემორჩენილი სხვა გზის, მოწინააღმდეგე მხარეთა შერიგების სურათის განცდა ჩნდება[29]. ეს იმის განცდაცაა, რომ აწმყო რაღაცნაირად გვაკლია კიდეც. ხელშეუხებელი, სხვა მომავლის წარმოდგენაც კი ჭირს, იმ მომავლისა, სადაც ინტერესები და კონკურენციის დესტრუქციული უკუღმართობა არ ბატონობს. ნეოლიბერალიზმს პოლიტიკური პასუხი საკუთარ მოედანზე, თავისუფლების, შესაძლებლობისა და სუბიექტურობის წარმოების ველზე უნდა გაეცეს.

სტატია [30] ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ხარიბეგაშვილმა**

ტექსტს რედაქტირება გაუკეთა და სქოლიოები დაურთო **თორნიკე ჩივაძემ**

[29] Maurizio Lazzarato, Les révolutions du capitalisme (Paris: Le Seuil, 2004), 19.

[30] იხილეთ ორიგინალში: http://rauli.cbs.dk/index.php/foucault-studies/article/viewFile/2465/2463